ვებგვერდზე https://tbcbank.ge/ka/agreements განთავსებული „ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) 8.5 პუნქტის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:

1. **ხელშეკრულების მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2.7-2.9 ქვეპუნქტები:**

„2.7. კლიენტი (თანხის მიმღები), უფლებამოსილია მოითხოვოს ბანკის სხვა კლიენტის (თანხის გადამრიცხავი) საბანკო ანგარიშებიდან მის (თანხის მიმღების) საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის ოპერაციის შეზღუდვა მობაილბანკსა და ინტერნეტბანკში. ასეთი მოთხოვნა კლიენტმა (თანხის მიმღები) უნდა დააფიქსიროს ბანკის ერთ-ერთ შემდეგ არხში: ა) სერვის-ცენტრში განაცხადის წარმოდგენით; ბ) კონტაქტ-ცენტრის მეშვეობით; გ) დიჯიტალ არხებიდან გაგზავნილი შეტყობინებით; ან დ) ბანკირთან კომუნიკაციისას ელ.ფოსტის მეშვეობით. მოთხოვნა უნდა მოიცავდეს თანხის გადამრიცხავის შემდეგ უნიკალურ იდენტიფიკატორებს: ა) IBAN ანგარიში; ან ბ) პირადი ნომერი; ან გ) არარეზიდენტის შემთხვევაში - პასპორტის ნომერი.

2.8. ხელშეკრულების 2.7 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის წარმოდგენისას იმ შემთხვევაში, თუ ბანკი მიიღებს დადებით გადაწყვეტილებას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თანხის გადამრიცხავი ვერ შეძლებს კლიენტის (თანხის მიმღები) მიმართ თანხის ჩარიცხვას. კლიენტი (თანხის მიმღები) თავად არის პასუხისმგებელი თანხის გადამხდელის მიმართ შეზღუდვის დაწესებისთვის, მათ შორის, შედეგებზე რომელიც გამოწვეული იქნება ფულადი ვალდებულებების ვერ შესრულებით. თანხის გადამხდელის მიერ თანხის გადახდის შეფერხების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნისას, ბანკი უფლებამოსილია, თანხის გადამხდელს მიაწოდოს ინფორმაცია, რომ გადახდის ოპერაციის შესრულება შეუძლებელია თანხის მიმღების მოთხოვნით.

2.9. ბანკი უფლებამოსილია, არ დააწესოს 2.7 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა ან გააუქმოს ნებისმიერ დროს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას. დაწესებული მოთხოვნის გაუქმების ინიციატივით, თანხის მიმღებმა თავად უნდა მიმართოს ბანკს. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი თავად არ იღებს გადაწყვეტილებას შეზღუდვის გაუქმებაზე, შეზღუდვა ძალაშია თანხის მიმღების მიერ მის გაუქმებამდე.“